მე-6 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რომელია რთული წინადადება?
   ა) „ტყემ მოისხა ფოთოლი.“
   ბ) „ვარსკვლავიც გაქრა და ირიჟრაჟა.“
   გ) „ბარაქიანი შემოდგომა დადგა”.

2. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა?

   „ ისევ <u>ფიქრობდა</u> ტირიფი.“

   ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

3. რომელი დროის ზმნაა გამოყენებული წინადადებაში:

   „შრიალებს მუხა ცაში აწვდილი“?

   ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი:

   „ბაბუამ <u>ბალიშზე</u> თავი დადო და დაეძინა.“

   ა) სარეცელი ბ) სასთუმალი გ) საწოლი

5. რომელია ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:

   „<u>აღმოსავლურმა</u> მუსიკამ დაიპყრო მსოფლიო.“

   ა) დასავლური ბ) სასიამოვნო გ) ლირიკული

6. ახსენით ფრაზეოლოგიზმი: „წელში წყდება“

   ა) წელს უფრთხილდება ბ) ბევრს შრომობს გ) ძინავს

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

კაჭკაჭი და მწყემსი

ერთხელ არწივი მაღალ კლდეზე იჯდა. ბატკანი დაინახა, დააცხრა და ჰაერში აიტაცა. ეს რომ კაჭკაჭმა დაინახა, შეშურდა და გადაწყვიტა არწივისთვის მიებაძა: შურდულივით გამოქანდა და ბატკანს ეძგერა. ბევრი ექაჩა, ფრთები უტყლაშუნა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. ამასობაში მწყემსმაც მოუსწრო, კაჭკაჭს განზრახვას მიუხვდა, შეიპყრო, ფრთები შეაჭრა და ბავშვებს გასართობად მიჰგვარა.

___ ეს რა ფრინველია?__ იკითხეს ბავშვებმა.

___ მე რომ მკითხოთ, კაჭკაჭია, მაგას რომ ჰკითხოთ, არწივი __ მიუგო მამამ.

7. ნაწარმოების პერსონაჟები არიან:

ა) კაჭკაჭი და მწყემსი. ბ) მწყემსი და ბავშვები.

გ) მწყემსი, ბავშვები, არწივი, კაჭკაჭი.

8. რამ გაიტაცა ბატკანი?

ა) არწივმა ბ) კაჭკაჭმა გ) მონადირემ

9. რას შეშურდა არწივის ძლიერების?

ა) კაჭკაჭს ბ) ძერას გ) არწივის მეგობარს

10. ,,შურდულივით გამოქანდა“ იგივეა, რაც:

ა) გადმოვარდა ბ) სწრაფად ჩაფრინდა გ) გაითამაშა